7

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის ----იანვარი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული საფეხბურთო მოედნის ტექნიკის ა(ა)იპ „ წყალტუბო არენა“-სთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 იანვრის 48-48250288 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული დანართი №1-ში მითითებული საფეხბურთო მოედნის ტექნიკის ა (ა)იპ „ წყალტუბო არენა“-სთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, (დანართი თან ერთვის).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული დანართი №1-ში მითითებული საფეხბურთო მოედნის ტექნიკის ა(ა)იპ „ წყალტუბო არენა“-სთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია
აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე რ. დიდავა

	Description	Year	Quantity	Codes	Price EUR	Total EUR
1.	Dennis G860 სათიბი	2023	2	G8603051 G8603058	8 305,58 €	16 611,16 €
2.	Dennis G860 8 Blade Cassette სათიბი	2023	2	26263 262235	2 482,27 €	4 964,55 €
3.	Dennis G860 Tungsten Tipped Verti Cassette სათიბი	2023	2	26213 26227	2 082,93 €	4 165,85 €
4.	Dennis G860 Soft Brush Cassette სათიბი	2023	2	26261 26204	1 747,12 €	3 494,24 €
5.	Shibuara36 Hp ტრაქტორი	2022	1	KMCSB36NLFFGA007	29,169.43 €	29,169.43 €
6.	Rotary Mower (Honda/Lawnflite) ბალახის საკრეჭი მოწყობილობა	2022	3	2240291; 2240234; 2240130;	1 571,07 €	4 713,20 €
7.	Fertilizer Spreader SR2000/ICL სასუქის გამაფრქვევი	2022	1	Sr20007	805,95 €	805,95 €
8.	Trailer 1.5 Tons ITM ურიკა	2023	1	T2207	2 503,69 €	2 503,69 €
9.	Turf Plugger სამთხრელი აპარატი	2023	2		155,74 €	311,48 €
10.	Dragbrush ფარცხი	2023	2		138,84 €	277,68 €
11.	Dew Brush ფარცხი	2023	3		102,51 €	307,54 €
12.	Line Marker ITM მხაზველი	2023	1	202305	351,45 €	351,45 €
13.	Sprayer 400l with T Jet Nozzles სპრეიერი	2023	1	Spry202304	1 076,04 €	1 076,04 €
14.	Divot Forks ფორჩხი	2023	8		23,60 €	188,83 €
15.	Hybrid Rake ნიადაგის საფხვიერებელი	2023	1	S20-32	2 356,83 €	2 356,83 €
16.	Hand Rakes Type 1 (Import) სათიბი ხელის	2022	2		14,71 €	29,43 €

17.	Verti Drain 7215 დრენაჟი	2023	1	H2233807	19 184,09 €	19 184,09 €
Total price Without VAT (Euro)						90 511,44 €
Discount 5%						4525,6 €
Total price With VAT (Euro)						101463,32€

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48250288**
თარიღი: **28/01/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა ა(ა)იპ ,,წყალტუბო არენას'' დირექტორის წერილი, რომელიც ითხოვს საკუთრებაში გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული საფეხბურთო მოედნის ტექნიკა. აღნიშნული ქონება 2025 წლის 23 იანვრის ხელშეკრულებით საკუთრებაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას უსასყიდლოდ გადმოსცა ა(ა)იპ ,,საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ''დანართი N-1-ის შესაბამისად და მისი ღირებულება შეადგენს 101463,32 ევროს ექვივალენტს ლარში.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა ა(ა)იპ ,,წყალტუბო არენას'' საკუთრებაში გადაეცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული საფეხბურთო მოედნის ტექნიკა დანართი N-1-ის შესაბამისად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი

,, წყალტუბო არენა"

კოდი 421268014 **5400 ქ. წყალტუბო. 26 მაისის № 2**

№ 5 27 იანვარი 2025 წელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი.

გთხოვთ, ა(ა)იპ „წყალტუბო არენას" საკუთრებაში გადმოგვცეთ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული, საფეხბურთო მოედნის ტექნიკა.

ნუსხა თან ერთვის.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „ წყალტუბო არენას" დირექტორი: ... ბარდანიძე

ხელშეკრულება

ქ. თბილისი, 23.01.2025 წ.

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“** (შემდგომში: ფედერაცია), ს/კ 201990079, წარმოდგენილი პრეზიდენტის ლევან კობიაშვილის მინდობილი პირის გენერალური მდივნის დავით მუჯირის მიერ და მეორე მხრივ, **სსიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია“** (შემდგომში: მერია), წარმოდგენილი მერის გენადი ბალანჩივაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფედერაციის მიერ მერიისათვის უსასყიდლოდ 101463.32 ევროს ექვივალენტ ლარში ღირებულების საფეხბურთო მოედნის მოვლის ტექნიკის გადაცემას, დანართი #1 თანახმად.

2. მომსახურების პირობები და ვადები

2.1. საქონელი გადაცემულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. ფედერაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია - „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ თანამშრომელი გიორგი რევაზიშვილი.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. ფედერაცია ვალდებულია:

3.1.1. გადასცეს მერიას უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი და მასზე საკუთრების უფლება.

3.1.2. არ დამალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის ნაკლი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.1.3. მერიას გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

3.2. ფედერაცია უფლებამოსილია:

3.2.1. ისარგებლოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებით.

3.3. მერია ვალდებულია:

3.3.1. მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანი შეთანხმებულ ვადებში.

3.3.2. ბოროტად არ გამოიყენოს ფედერაციის მიერ გადაცემული საქონელი.

3.4. მერია უფლებამოსილია:

3.4.1. ისარგებლოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

5. ხელშეკრულების მოქმედება

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

6. ფორს-მაჟორი

6.1. არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა). მხარეს, თუ ასეთი შეტყობინება არ იქნება გაკეთებული 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, დამრღვევ მხარეს უფლება არ აქვს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების მიზნით მიუთითოს ასეთ გარემოებებზე, თუ კი შეტყობინების არ გაგზავნა არ იყო გამოწვეული ამ გარემოებებით.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა 1 (ერთი) თვეზე მეტ ხანს ან თუ მხარემ დაკარგა შესრულების მიმართ ინტერესი, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მომსახურების ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 2 (ორი) კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

7. ცვლილებები და დამატებები

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხარეთა შეთანხმებით და მხოლოდ წერილობით ფორმით.

7.2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

8. პრეტენზიები და დავები

8.1. ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

9.2. ნებისმიერ ცვლილებას თუ დამატებას ძალა აქვს, მხოლოდ მაშინ, თუ იგი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.3. შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“

ხელმოწერა: ----------------------------------

დავით მუჯირი

გენერალური მდივანი

სსიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია“

ხელმოწერა: ----------------------------------

ზაქნადი გ[illegible]ძე

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი, 23 იანვარი 2025 წ.

ერთი მხრივ, ა(ა)იპ **„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“** (შემდგომში: ფედერაცია), ს/კ 201990079, წარმოდგენილი გიორგი რევაზიშვილის მიერ და მეორე მხრივ, **სსიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია“** (შემდგომში: მერია), წარმოდგენილი მერის გენადი ბალანჩივაძის სახით,, წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ მხარეთა შორის 2025 წლის 23 იანვრის ხელშეკრულების თანახმად ფედერაციამ უსასყიდლოდ გადასცა, ხოლო **მერიამ** მიიღო 101463.32 ევროს ექვივალენტ ლარში ღირებულების საფეხბურთო მოედნის მოვლის ტექნიკა.

მხარეთა ხელმოწერები:

ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“

ხელმოწერა: _____

გიორგი რევაზიშვილი

სსიპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია“

ხელმოწერა: _____

მერი

	Description	Year	Quantity	Codes	Price EUR	Total EUR
1.	Dennis G860 სათიბი	2023	2	G8603051 G8603058	8 305,58 €	16 611,16 €
2.	Dennis G860 8 Blade Cassette სათიბი	2023	2	26263 262235	2 482,27 €	4 964,55 €
3.	Dennis G860 Tungsten Tipped Verti Cassette სათიბი	2023	2	26213 26227	2 082,93 €	4 165,85 €
4.	Dennis G860 Soft Brush Cassette სათიბი	2023	2	26261 26204	1 747,12 €	3 494,24 €
5.	Shibuara36 Hp ტრაქტორი	2022	1	KMCSB36NLFFGA007	29,169.43 €	29,169.43 €
6.	Rotary Mower (Honda/Lawnflite) ბალახის საკრეჭი მოწყობილობა	2022	3	2240291; 2240234; 2240130;	1 571,07 €	4 713,20 €
7.	Fertilizer Spreader SR2000/ICL სასუქის გამაფრქვევი	2022	1	Sr20007	805,95 €	805,95 €
8.	Trailer 1.5 Tons ITM ურიკა	2023	1	T2207	2 503,69 €	2 503,69 €
9.	Turf Plugger სამთხრელი აპარატი	2023	2		155,74 €	311,48 €
10.	Dragbrush ფარცხი	2023	2		138,84 €	277,68 €
11.	Dew Brush ფარცხი	2023	3		102,51 €	307,54 €
12.	Line Marker ITM მხაზველი	2023	1	202305	351,45 €	351,45 €
13.	Sprayer 400l with T Jet Nozzles სპრეიერი	2023	1	Spry202304	1 076,04 €	1 076,04 €
14.	Divot Forks ფორჩხი	2023	8		23,60 €	188,83 €
15.	Hybrid Rake ნიადაგის საფხვიერებელი	2023	1	S20-32	2 356,83 €	2 356,83 €
16.	Hand Rakes Type 1 (Import) სათიბი ხელის	2022	2		14,71 €	29,43 €

17.	Verti Drain 7215 დრენაჟი	2023	1	H2233807	19 184,09 €	19 184,09 €
Total price Without VAT (Euro) Discount 5%						90 511,44 €
						4525,6 €
Total price With VAT (Euro)						101463,32€

	Description	Year	Quantity	Codes	Price EUR	Total EUR
1.	Dennis G860 სათიბი	2023	2	G8603051 G8603058	8 305,58 €	16 611,16 €
2.	Dennis G860 8 Blade Cassette სათიბი	2023	2	26263 262235	2 482,27 €	4 964,55 €
3.	Dennis G860 Tungsten Tipped Verti Cassette სათიბი	2023	2	26213 26227	2 082,93 €	4 165,85 €
4.	Dennis G860 Soft Brush Cassette სათიბი	2023	2	26261 26204	1 747,12 €	3 494,24 €
5.	Shibuara36 Hp ტრაქტორი	2022	1	KMCSB36NLFFGA007	29,169.43 €	29,169.43 €
6.	Rotary Mower (Honda/Lawnflite) ბალახის საკრეჭი მოწყობილობა	2022	3	2240291; 2240234; 2240130;	1 571,07 €	4 713,20 €
7.	Fertilizer Spreader SR2000/ICL სასუქის გამაფრქვევი	2022	1	Sr20007	805,95 €	805,95 €
8.	Trailer 1.5 Tons ITM ურიკა	2023	1	T2207	2 503,69 €	2 503,69 €
9.	Turf Plugger სამთხრელი აპარატი	2023	2		155,74 €	311,48 €
10.	Dragbrush ფარცხი	2023	2		138,84 €	277,68 €
11.	Dew Brush ფარცხი	2023	3		102,51 €	307,54 €
12.	Line Marker ITM მხაზველი	2023	1	202305	351,45 €	351,45 €
13.	Sprayer 400l with T Jet Nozzles სპრეიერი	2023	1	Spry202304	1 076,04 €	1 076,04 €
14.	Divot Forks ფორჩხი	2023	8		23,60 €	188,83 €
15.	Hybrid Rake ნიადაგის საფხვიერებელი	2023	1	S20-32	2 356,83 €	2 356,83 €
16.	Hand Rakes Type 1 (Import) სათიბი ხელის	2022	2		14,71 €	29,43 €

17.	Verti Drain 7215 დრენაჟი	2023	1	H2233807	19 184,09 €	19 184,09 €
Total price Without VAT (Euro) Discount 5%						90 511,44 €
						4525,6 €
Total price With VAT (Euro)						101463,32€

FOR DOCUMENTS
GEORGIAN FOOTBALL FEDERATION